# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N661 2024 წლის 2 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის №641 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის №641 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აპრილის №610 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის

სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 5 901 000 (ხუთი მილიონ ცხრაას ერთი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის – 5 300 000.0 (ხუთი მილიონ სამასი ათასი) ლარი;

ბ) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის – 601 000 (ექვსას ერთი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე